საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია | № 328 | 1918 წ. | ხუთშაბათი სექტემბრის 11. | № 328

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

ალბულახში მშვიდობიანობაა. დასავლეთის ფრონტზე, არმანტიერთან ფრანგებმა ... გასაშლელ. — აგვისტოს განმავლობაში გერმანელებმა ფრანგ-ინგლისელებს 565 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

სექტ. 15-ს ტფილისში გაიხსნება საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის კონფერენცია.

---

მწუხარებით გულმოკლული ნინო თომას ასული აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაგიკულად დაიღუპა მისი საყვარელი და ძვირფასი მეუღლე

## კაპიტანი არჩილ დიმიტრის ძე საყვარელიძე.

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 ს. ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

დედა მარიამ, და-ძმები: დარია, სოფიო, ეკატერინე, ზაქარია, ივანე და მიხეილ საყვარელიძენი აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაგიკულად დაიღუპა პირველისა უძვირფასესი შვილი და მეორეთა საყვარელი ძმა კაპიტანი

## არჩილ დიმიტრის ძე საყვარელიძე.

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 ს. ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

სიძეები: ვლადიმერ ყანჩაველი, ალექსანდრე მჭედლიშვილი, ვლადიმერ ლაშხაური და რძალი მარიამ საყვარელიძისა აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაგიკულად დაიღუპა პირველთა ძვირფასი ცოლის ძმა და უკანასკნელის მაზლი კაპიტანი

## არჩილ დიმიტრის ძე საყვარელიძე.

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 6 ს. ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

ტფილისის ქალაქის აფთიაქში მოსამსახურენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს საუკეთესო და დაუვიწყარი ამხანაგის ფარმაცევტის

## დათიკო ხახუტაშვილის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, სექტემბრის 12-ს კუკიის სასაფლაოზედ. სახლიდან გამოსვენება დილის ათ საათზე. სამოვოლნაია ქუჩა № 5. 979

---

გულდათუთქულნი დედ-მამა დავით ნინიას ძე და მარიამ გაბრიელის ასული გრატიაშვილები, ძმა ნიკოლოზი, ვახტანგი, ირაკლი; დები თამარ და ნინო გრატიაშვილები, დიდედა ნინო მამადალაშვილი და დეიდა მარიამ ლოცულაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სექტემბრის 9-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი ჯარისკაცი მწერალი ქართულ უნტერ აფიცრის სკოლისა

## ვანიკა (ივანე) დავითის ძე გრატიაშვილი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე (ახალი დროით) საკუთარ ბინაზე სუნგენი ქუჩა № 13 გამოსვენება და დაკრძალვა ხუთშაბათს ბინიდან ენკენისთვის 12-ს დილის 10 საათზე. 978

---

გარდაიცვალა

## ექიმი ილია იოსების ძე ანდრონიკაშვილი,

რასაც გულითად მწუხარებით იუწყებიან მისი და ელო, ძმა შაქრო, ძმისწული ხახე ანდრონიკაშვილები, ბიძაშვილები გენო და ანდრია ვაჩნაძეები დისძე შალვა დადიანი. პანაშვიდი სამშაბათს, სექტემბრის 10-ს, დილის 11 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, დასაფლავება ოთხშაბათს, 11 სექტემბერს. 977

---

გულდათუთქულნი ვასილი გიორგის-ძე და ეკატერინე დავითის ასული, გიორგი, ნიკოლოზი, ნინა და ლევანი ხახუტაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ენკენისთვის 9 გარდაიცვალა პირველთა საყვარელი შვილი და მეორეთა ძმა ფარმაცევტი

## დავით (დათიკო) ვასილის ძე ხახუტაშვილი

გასვენება ოთხშაბათს ენკენისთვის 11-ს წმინდა ნინოს ეკლესიაში, დილის 10 საათზე. სამოვოლნი ქ. № 5. 981

---

...ცანოზი დიმიტრი, მღვდელი ილარიონი, ნატალია, ევდოკია, ...ანნა და ...ონი გიორგის ძენი და ასულნი ხახუტაშვილები, ოლღა გიორგის ასული ...სიშვილისა შვილით ალექსანდრეთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ...მ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ენკენისთვის 9-ს საყვარელი ძმის წული და ბიძაშვილი ფარმაცევტი

## დავითი (დათიკო) ვასილის ძე ხახუტაშვილი

...მოსვენება ოთხშაბათს ენკენისთვის 11-ს, წმინდა ნინოს ეკლესიაში, დილის 10-საათზე, საკუთარ სახლიდან, სამოვოლნი ქ. № 5 მე-9 უბანი. 981

---

...ვზარდაცემულნი: მარიამ ნაცვლიშვილის ასული, ნინო გულბანის ასული, ...ნო ბურჯანაძის ასული, ალექსანდრა ებანოიძის ასული და ანნა ავალია...ს ასული აუწყებენ ამხანაგთ და ნაცნობთ, უდროვოდ გარდაცვალებას; ...რველი უსაყვარლესი მოწაფისა და დანარჩენი ძვირფასი და დაუვიწყარი ...ხანაგის, ქუთაისის გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზიაში წელს კურს დამთავრებულის

## ეკატერინე (კატუშა) ისიდორეს ასულის ლორთქიფანიძისა

...მლის სულის მოსახსენებლად დანიშნულია პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში დღით ხუთშაბათს ნაშუადღევის 5 საათზე. 987

---

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მშვიდად გარდაიცვალა

## იაკობ სიმონის-ძე ალიბეგოვი,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდამწვარი მეუღლე ნინო შვილებით და ძმა მიცვალებულისა. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 988

---

ელენე მიხეილის ასული ანდრონიკაშვილისა აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი მეუღლე

## ექიმი ილია (ილო) იოსების-ძე ანდრონიკაშვილი

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს ენკენისთვის 11-ს კუკიის სასაფლაოზედ გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან. 982

---

ღრმად დამწუხრებულნი; მეუღლე ნინო ივანეს ასული, რძალი მარიამ ქსენაფონტეს ასული, შვილები: გიორგი, მიხეილი, ელენე, ქატუშა, თამარა, ივანე და ნიკოლოზი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მღვდლის

## ონისიმე მიხეილის ძის მელითაურის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე დილით 12 ს, საღ. 7 ს. გუნიბის შესახვევი № 45. დაკრძალვა მოხდა ენკენისთვის 12 იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში. 2—1

---

## ფრანგული ენა

მადემუაზელ შოპლენი ჰხსნის თავის ბინაზე ქ. ბროსსე № 9, ენკენისთვის 20 დან საცალკეო სარბიელს (კურსს) სწავლა-მაცადინობისა, პრაქტიკული ვარჯიშობისა ჯგუფად, დამწყობ მოსწავლეთათვის 7-დან 12 წლოვანობისა, რომელთაც ჰსურსთ ამ ენის შესწავლა მოკლე ხანში და კარგად. გაკვეთილი დაიწყება ყოველ-დღივ 5 საათიდან 6 მდე. მსურველნ შეუძლიან ჩაეწერონ ყოველ-დღივ 5-დან 7 საათამდე. სწავლის ფასი, თვეში 30 მან. და წინდაწინ. ფრანგულის გაკვეთილები: თეორია, ვარჯიშობა, მწიგნობრობა (ლიტერატურა) სარბარი, დაწესებულებათა გეგმა (პროგრამმა), განმეორება. 983

---

## ტფილისის სამუსიკო საზოგადოების სკოლა

(ყოფილი საფილარმონიო)

სლეპცოვის ქუჩა, № 4.

მოწაფეთა მიღება დაიწყება სექტემბრის 10-დან 11—2 ს. მეცადინეობა სექტემბრის 20-დან. მასწავლებლად მოწვეულნი არიან: როიალის კლასში—ქ ნნი თავის. ხელოვ. ე. დ- აბელაშვილი-ყარანგოზოვისა, ო. მ. ბერგი, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. ი პოლტორაცკი-მადათოვისა, თავ. ხელ. ე. გ. ქიქოძე, თავ. ხელ. რ. ვ. ხოსროევისა, ვიოლონის (სკრიპკა) პროფესორის კლასი—თავ. ხელ. ი. ი. ფიშბერგი; ან. ნ. ყარაშვილი, თავ. ხელ. ფ. კაც. ვიოლონჩელის თავ. ხელ. ი. ს. აბაშიძე, ალტი—ი. ი. მელამედი, სიმღერა-გალობა (სოლო) გ. ი. კირილოვისა, ა. ი. ჯაყელი და სახელმწიფო თეატრის არტისტი ფ. ნ. პალიაევი. თეორიის კლასისა—თავ. ხელ. დ. ე. არაყიშვილი. აგრეთვე სწარმოებს მოლაპარაკება ტფილისში მყოფ თვალსაჩინო პროფესორებთან. სწავლის ფასი სამუსიკო საკრავებზე 150 მ. წლიურად, სიმღერა—200 მ. და თეორიის კლასში 75 მ. 1305

---

## სახელმწიფო თეატრი

ოპერის სეზონი 1918—19 წ. დირექცია ნ. ლ. ლემოცქისა.

დასის შემადგენლობა (ალფავიტით)

| სოპრანო: | ტენორები: | დირიჟორები: |
|---|---|---|
| ვოლ-ლევიცკისა ა. ს. | ბერეზინი ვ. მ. | სამოსუდი ია. ა. |
| ვიშემირსკაია მ. მ. | ზალიპსკი ბ. ი. | სტოლერმანი ს. ა. |
| გარინსკაია ლ. კ. | ზვიაგინი ვ. ა. | ჩერეპნინი ნ. ნ. |
| გედევანიშვილი მ. ვ. | კანშინი ა. მ. | ცენოვსკი ა. ა. |
| ზელინსკაია ფ. ს. | კურბატოვი ა. ვ. | რეჟისორები: |
| კალანდაძე-აგასოვისა ო. ს. | მალჩანოვი ი. პ. | დუმა დ. ა. |
| მანდენოვა ს. გ. | მარკოვი მ. ს. | თანაშემწე: |
| ორლოვა ფ. ს. | ბარიტონები: | გურესი ა. ა. |
| განნა-სკვორეცკაია გ. ლ. | ბალაბანი ა. ა. | ფიჩხულოვი კ. ნ. |
| ფირსოვა ა. ნ. | ვრონსკი ე. ა. | სუფლიორები: |
| შვამბერგი ტ. ა. | ზუბარევი ნ. გ. | ნიკოლაევი ნ. ი. |
| მეცო-სოპრანო: | ინაშვილი ა. ი. | ტესლერი ი. ა. |
| ვლადინა ვ. ს. | ორდა ტ. ს. | ხორმეისტერები: |
| დობროვოლსკაია ვ. ი. | ეზროვი ნ. ს. | კორშონი ვ. ა. |
| მოროზოვა ო. კ. | ბანები: | თანაშემწე: |
| ოვსიანნიკოვა ლ. ა. | დემიანენკო ა. ა. | ფალიაშვილისა ი. პ. |
| სპიტკო ე. ა. | ისეცკი ლ. ნ. | კონცერტმეისტერშები: |
| იანსა მ. ა. | ორლოვი ნ. ნ. | საბინ-გუს ე. დ. |
| | ნიკოლსკი ვ. ა. | სოკოლოვისა ლ. ა. |
| | საბინინი იუ. დ. | |

ბალეტმეისტერი ვოკარეცი ს. ფ. პრიმა-ბალერინა ბაუერსაკს მ. ე. ორკესტრი 48 კაცი. ხორო 60 კაცი. ბალეტი. 24 კაცი—სოლისტი ორკესტრის გუზიკოვი. სამხატვრო განყოფილების გამგე მხატვარი ა. ა. ზალცმანი.

## სეზონის გახსნება

კვირას, სექტემბრის 15-ს, სექტემბრის 16-ს „ტანჰეიზერი“, სამშაბათს „რიგოლეტო“, ოთხშაბათს „ცარსკაია ნევესტა“ კასსა ღიაა სექტემბრის 10-დან, 10—4 და 5—8 ს. 985

---



## ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ორშაბათს სექტემბრის 11-ს

## გალა წარმოდგენა.

დღეს დუეტი ცნობილი მარიამ და ანტონ ზინკოვსკებისა უკანასკნელი გასტროლი ალისა მონაწილეობენ აგრეთვე: სლასტუშინსკი, ესმერალდა და სხვ.

ანონსი: მზადდება ბენეფისი სლასტუშინსკისა. დასაწყისი 8 ნახ. ს. დასასრული 11 საათზე.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი 980

---

## ვეძებ ოთახს

ვერის და მთაწმინდის რაიონში, მოწყობილობით და ელექტრონის განათებით, იკითხეთ „სახ. საქმის“ რედაქციაში ქრისტ. რაჭველიშვილი. 1302

---

ტფილისი, სექტემბრის 11.

**საქართველოს საკოოპერაციო ყრილობა**

10 სექტემბრისათვის დანიშნული იყო ტფილისში ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირის წევრთა ყრილობა. ეს დაწესებულება დაარსდა ძველი რეჟიმის დროს და ბუნებრივად მიისწრაფოდა ცენტრალისტურ რუსეთისკენ. კავშირის წევრებიც ამგვარად იყო შედგენილი და დღეს კი—რაკი რეალური მდგომარეობა არსებითად შეიცვალა—შემადგენლობის მხრივ უეჭველია დიდი ცვლილება მოხდება. საქართველო დღეს ერთ ეკონომიურ და პოლიტიკურ ერთეულად არის აღიარებული და უეჭველია ეს გარემოება შესაფერისად გამოიწვევს ამიერკავკასიის კავშირის რეკონსტრუქციას. ყრილობის წესრიგის მეხუთე მუხლი პირდაპირ ეხება ამ საქმეს და უეჭველია უმტკივნეულოდაც გამოაცხადებენ საქართველოს საკოოპერაციო კავშირს.

ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი საეკონომიო ცხოვრებისათვის. უდიდეს საკოოპერაციო ერთეულის ნაციონალიზაცია გაანთავისუფლებს დაწესებულებას ყალბ ელემენტებისაგან, დაახლოვებს მას ქართულ საეკონომიო ორგანიზაციებთან და ამნაირად იგი კავშირი უფრო ადვილად და მხნედ ჩაერევა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

დღეს კი—უნდა ვსთქვათ—საკოოპერაციო კავშირი ვერ აკეთებდა ყოველივე მას, რაც მიზნად ქონდა დასახული, რისი გაკეთებაც მას შეეძლია. უეჭველია არის მთელი რიგი ობიექტიური პირობა, ხელის შემშლელი. დაიხურა რუსეთის და კავკასიის ბაზრები, კავშირს გასაქანი აღარ დაურჩა ევროპისაკენ და ამნაირად შევიწროვდა მისი შემოქმედების ფარგალი. ეს კი საჭირო არ იყო ახლად აღორძინებულ კავშირისათვის. გარდა ამისა კავშირის ნაყოფიერობას ისიც უშლიდა ხელს, რომ საქართველოში ძალიან გამწვავებული იყო პარტიული განწყობილება და დაწესებულების სათავეში ხვდებოდნენ არა ცოდნის, გამოცდილების და ენერგიით შეფასებული პირები, არამედ პარტიულ საზომით გამიჯნული პიროვნებანი, ამან დიდი ზიანი მოუტანა საკოოპერაციო კავშირს, ზოგი წევრი გამგეობისა სრულიადაც არ გაკარებია მუშაობას, იმდენად ყბად აიღეს დავალება! საბედნიეროდ ამ ჟამად მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესებულია, პარტიული კინკლაობა შენელებულია, საშინაო ცხოვრების ასპარეზი უფრო გაშლილია და საქართველოს საკოოპერაციო კავშირის გამგეობაში უეჭველად მოხვდებიან საქმის სიყვარულით და ენერგიით სავსე მუშაკები.

ენერგიულ გამგეობას კოოპერაციაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ასეთი გამგეობა განსაკუთრებით დღევანდელ მძიმე საზოგადოებრივ—საეკონომიო სიდუხჭირეში გვჭირიან. ვინ არ იცნობს მოკლეთ მაინც საკოოპერაციო პერსპექტივას ჩვენს სამშობლოში. წვრილი თანხის და მეურნეობის ქვეყანა, რომელიც მოფენილია საკოოპერაციო ერთეულებით, სადაც დიდი სიმშილია სანოვაგის და გადამუშავებულ საგნების—ასეთ ქვეყანაში ვერც ერთი ძალა ვერ შემოკრებს ისე ადვილად ხალხის ქონებრივ

...ერგიის წარმოებისათვის, როგორც კოოპერაცია. მხოლოდ დემოკრატიული კოოპერატიული მოქმედება განახორციელებს მრავალ სამრეწველო პლანს თავისუფალ საქართველოსათვის და ამ დიდ საქმისათვის კავშირში უნდა მოექცნენ გამოცდილი ხალხი, ინტუიციის და პერსპექტივების ძალები.

საკოოპერაციო კავშირმა ყველაზე კარგად იცის თავისი ძალა. მის გარშემო თავმოყრილია ნახევარ მილიონზე მეტი ცოცხალი ძალა ქართველ ხალხისა და ამ ძალის საეკონომიო მუშაობაში ჩათრევას, როგორც საქონლის განაწილების, ისე დაგროვების და შექმნაში—სახელმწიფოსათვის ექნება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც.

საქართველოს საკოოპერაციო კავშირს მართებს დასახულ დიდ მიზნებისათვის მთავრობას გაბედულად შეხვდეს, რომლის შემადგენლობა დღეს ისეთია, რომ კოოპერაციის კეთილ განზრახვებს სიამოვნებით შეხვდება. ფინანსიური დახმარება, მატერიალური და ტეხნიკური საშუალებების აღმოჩენა, უპირატესობა ტრანსპორტის საქმეში—ხელს შეუწყობს კოოპერაციას თავის მიზნების განალდებაში. და ეს პირობები სათანადოდ უნდა ისარგებლოს კავშირმა. სპეციალურ ძალების მობილიზაციით, სამრეწველო შემოქმედების გაჩაღებით ყველა დარწმუნდება, რომ საქართველოში კოოპერაცია ერთად ერთი დემოკრატიული საეკონომიო პოლიტიკაა ხალხის სულისა და მისწრაფების შემგუებელი.

არის კიდევ სხვა წმინდა საშინაო საკოოპერაციო პოლიტიკის სფერო. ბრძოლა სპეკულიაციასთან, კოოპერატივების კანტროლი და მათი უეჭველი დამორჩილება საერთო საკოოპერაციო გეგმას გაამართლებს, აღადგენს კოოპერატიულ სიფაქიზეს და ხალხში დაიცავს დღეს რამდენადმე კოოპერატივების შებღალულ პრესტიჟს.

ამნაირად, ძალიან დიდი საქმეები აქვს კავშირს გასაკეთებელი, საქმე ამავე დროს ფრიად ძნელი და ვუსურვებთ, რომ კავშირის გამგეობას ახალ ძალების საშუალებით თავისი მოვალეობანი პირნათლად შეესრულებიოს.

# სასურსათო სამინისტრო

2.

სასურსათო სამინისტრო, როგორც დიდი სახალხო და სახელმწიფოებრივი საქმე, შეუძლებელია რომელიმე უწყებას ჩავაბაროთ: თუ სამინისტროს საქმეები გაცხოველდება და ენერგიულ პირის ხელში არ შეიძლება არ გაცხოველდეს—მაშინ სხვა უწყება სურსათის საქმეებს სათანადოდ ვერ მოუვლის და შესაძლოა სურსათის საქმეც შეფერხდეს და სხვა უწყებისაც. სასურსათო სამინისტრო უნდა ემორჩილებოდეს მთელ სამინისტროს, მთავრობას და მტკიცედ ანვითარებდეს თავის სფეროში საერთო სახელმწიფოებრ პოლიტიკას.

არის კიდევ მთელი რიგი მოსაზრება, რომელიც გულისხმობს სასურსათო სამინისტროს დამოუკიდებლობას. რამდენადაც არ უნდა დავავიწროვოთ ჩვენი ეკონომიკის ფარგალი, ერთი აშკარაა: საქართველოს ცხოვრება არ შეუძლია თუ სხვა სახელმწიფოს ეკონომიკა არ გამოიყენა, თუ ეკონომიურ კავშირზე არ იზრუნა. გუშინ პური გვიჭირდა უმთავრესად, ხვალ დაგვეჭირდება შაქარი, ქაფი, ფართალი, რკინა და სასურსათო უწყება არსებობს არა მარტო პურისა და მარილისთვის, ყველა იმ საგნების მოსაგვარებლად, რომელიც ხალხის სიცოცხლის და საწარმოვო პირობის დასაცავად არსებითად საჭიროა. აქედან გამომდინარეობს ორი აზრი: 1) სასურსათო სამინისტროს მუშაობის ფარგალი ფრიად ფართოა და ამ მხრივაც შეუძლებელია ის მოვაქციოთ რომელიმე ერთ უწყების ხელში, 2) საქართველოს სასურსათო სამინისტრო უეჭველად უნდა დაუკავშირდეს სხვა სახელმწიფოს სურსათის მოსაგვარებლად.

ეკონომიური კავშირი, დამოკიდებულება საუკეთესო პირობაა პოლიტიკური კავშირისათვის. და ჩვენ ასე გვგონია: სასურსათო უწყების უნიათობასაც უდევს წილი, რომ დღეს საქართველოსთან არც ერთი სახელმწიფო არ არის მეგობ... განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევ. სასურსათო სამინისტროს შეუძლია დიდი პოლიტიკური როლი ითამაშოს და შეასრულოს, თუ ის მოხერხებულად გააბამს ქსელს სხვა სახელმწიფოსთან და თავისი მოხერხებით, გამოცდილებით, დიპლომატიური ნაბიჯებით თავის ქსელში გაახვევს მეზობელ სახელმწიფოს.

გარდა ამისა, სასურსათო უწყებამ ძალიან კარგად უნდა იცოდეს დღეს საქონლის სიმცირე ყველგან არის, ამ მხრივი მოღვაწეობა გართულებულია, მაგრამ მან სწორედ ასეთს პირობებსუნდა გაართვას თავი და სახელმწიფოებრივი კომბინაციით სახელმწიფოდან გამოიტანოს ჩვენდა სასარგებლოთ ის საჭირო ნივთები, რომელიც შეიძლება იყოს თვით იმავე სახელმწიფოსათვის. აი ასეთია სასურსათო სამინისტროს წინაშე სასურსათო ამოცანა, ამოცანა ფრიად ძნელი.

წმინდა საშინაო ცხოვრების სფეროში სამინისტროს პოლიტიკა დღეს ძალიან გაადვილებულია. ჯარის და ქალაქების დაკმაყოფილება უმთავრესად ხორბლეულით, სხვა და სხვა საქონლის მოწოდება სოფლისათვის დღეს საქართველოს საქართველოს სასურსათო უწყებისათვის უფრო ადვილია, ვიდრე ეს შიძლებოდა გასულ წელში. ტრანსპორტის საქმე როგორმე მოეწყობა, ანარქია კლებულობს, ადმინისტრატიული აპარატი იქმნება და ამნაირად ტეხნიკურ პირობების მხრივ ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს.

ამ ჩარჩოში რანაირი უნდა იყოს სამინისტროს პოლიტიკა?—ჩვენ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომელიც უკვე დასახულია მთავრობის მიერ. საჭიროდ არ მიგვაჩნია ის მერკანტილისტური რეგლამენტარიზმის პოლიტიკა ვაწარმოვოთ, რომელიც სამი ფუთი ფქვილის რეკვიზიციას შეიცავდა რკინის გზებზე. ამ პოლიტიკას არასოდეს არ ქონდა აზრი და ზიანი კი ბევრი მოჰქონდა, რამდენადაც ყოველ წვრილმან შევიწროებას მცხოვრების გაღიზიანება-გაბოროტება ადვილად შეუძლიან.

თუ სამინისტრო არ შეიქმნა იმ ნიადაგზე, რომელიც ჩვენ დავსახეთ, ე. ი. სასურსათო სამინისტრო თუ არ გაფართოვდა და ყოველი ზედმეტი სიმდიდრე, გასასაღებელი საქონელი არ გადავიდა სასურსათო უწყების განკარგულებაში—ყოველი ლაპარაკი თავისუფალ ვაჭრობაზე ოცნება იქნება. კერძო ინიციატივა, ვაჭართა კლასი მყისვე ჩაყლაპავს სამინისტროს შემოქმედებას, თუ ეს უკანასკნელი არ აღიჭურვა განსაკუთრებულ საქონლით და მდგომარეობით. სამინისტროს უნდა ჰქონდეს თავისუფალი თანხა, საქონელი და ფულით—საქონლით ის უნდა გავიდეს საშინაო ბაზარზე, რომ საქონლის შეძენის მხრივ ის გამარჯვებული გამოვიდეს კერძო ინიციატივის ხალხთან თავისუფალ ბრძოლაში.

მხოლოდ ასეთ პირობებში შეღავათიან სახეს მიიღებს მთავრობის ზომა. ამ დროს ნიადაგი ექნება მტკიცე ფასს, ნიხრს და ზომიერ-გონივრულ რეგლამენტაციას. დეე კერძო პირებმა მეტი ფასი გაიღონ სხვა და სხვა სურსათზე, მაგრამ საქონლის გადაცვლით სამინისტრო ყოველთვის შესძლებს ხელსაყრელ პირობებში იმდენ საქონლის დაგროვებას, რომ სპეკულიატიური ფასები დასცეს. აი ეს პირობა შეამსუბუქებს მცხოვრებთა მდგომარეობას და ცხოვრებას წესიერ სახეს მიაღებიებს.

მთავარია სახელმძღვანელო პრინციპის დასახვა, შემდეგ ყოველი წვრილმანით შეიძლება პრინციპის გატარება. აღკვეთა საქართველოდან საქონლის ნებადაურთველად გატანისა, სპეკულიანტების საწყობების კადასტრი, კოოპერატივების გამოყენება რაც შეიძლება ფართოდ, როგორც გამნაწილებელ და შემძენელ ერთეულების, ზოგიერთ სანოვაგის მიღება სახელმწიფო-საერობო გადასახადების დასაფარავად — გაცილებით ადვილი საქმეა. იმასაც ვერ გამოუდგებით აქ, რომ სამინისტროს სათავეში საჭიროა ფხიანი და მცოდნე ხალხი გვყავდეს. რაც ელემენტარულია და უდავო—იმას აქ არ ვეხებით. სურსათის ბუნება ისეთია, რომ უწყება შეუძლებელია ცხოვრების პირში არ იდგეს. ფაქტია, რომ პურის კამპანია უკვე წავაგეთ, სრული ნიშნებია, რომ სიმინდის კამპანიასაც წავაგებთ. იმიტომ, რომ ხალხთან მაშინ მივდივართ, როდესაც ყველაფერი გათავებულია. დღეს სახელმწიფო სურსათს ყიდულობს და როგორც მყიდველი ის დროზე უნდა მივიდეს აწარმოებელთან. ნამდვილად კი ... ლაფერი შეისყიდეს. ამიერიდან მაინც უნდა მოისპოს ასეთი მდგომარეობა. თუთუნი, ხილი, ყურძენი—ღვინო, დაფნა, ჩაი, თივა, სიმინდი, მრავალი დარგი ჩვენი საეკონომიო აღებ-მიცემობისა დროიანად უნდა ჩავიგდოთ ხელში, რომ სპეკულიანტებს გასაქანი არ ქონდეს. ამ გზით საქონელს იაფადაც შევიძენთ გაცილებით.

მაგრამ არის კიდევ ერთი რამ, რასაც არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ—თუმცა ეს ელემენტარულია. ვგულისხმობ უწყების ნაციონალიზაციას. უცხო პირებმა სასურსათო უწყებას აუარებელი ზიანი მიაყენეს. მე ვფიქრობ, საბაშვილის ისტორიას დიდი კავშირი აქვს ნაციონალიზაციასთან. უცხო ძალებმა ხელი შეუწყეს საზარალო პირობების დადებას და სასურსათო მდგომარეობის გამწვავებას. რასაკვირველია ასეთი მდგომარეობა საბოლოოდ უნდა მოისპოს და სამინისტროში თავი მოუყაროთ ისეთ ხალხს, რომელნიც გულწრფელად დაიცავენ ჩვენი რესპუბლიკის ინტერესებს.

თედო ღლონტი.

# მთავრობაში

საქმეთა მმართველის მოხსენებით აფხაზეთში მიმავალ კომისიისათვის ხარჯებისა და მოხელეთა შესახებ, მთავრობამ დაადგინა: 1) მიეცეს კომისის წევრებს თითოს ხუთი თუმანი დღიურად და ბილეთის ფასი, რისთვისაც მთავრობის საქმეთა სამმართველოს გაეხსნას ხუთი ათასი მანეთის კრედიტი. 2) დაევალოს იუსტიციის მინისტრს მისწეროს სოხუმის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ მან მისცეს კომისიას საჭირო მოხელეები, 3) საერთოდ: გასაგზავნი კომისიის წევრებისათვის იყოს მიღებული დღიური ხარჯი სამი თუმნიდან ხუთ თუმნამდე და ბილეთის ფასი პირველიდან მესამე კლასამდე, რაიც ეცნობოს სამინისტროებს.

—

იუსტიციის მინისტრის ამხანაგის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას იუსტიციის მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 41,489 მან. კრედიტი, ციხეების დათხოვნილ მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად.

იმავე მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას იუსტიციის მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან კრედიტი 100,000 მან. ტფილისის ციხეების შესანახად.

—

სამხედრო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: „ტრანსპორტის" საზოგადოების საქმის გასარჩევად დაარსებულ იქმნას კომისია სახელმწიფო კონტროლის, სასურსათოს სამინისტროს და სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელთაგან.

იმავე მინისტრის მოხსენებით დადგენილ იქმნა: კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოსი და სამხედრო საბრალდებლო ზედამხედველობის ლიკვიდაციის ვადა გაგრძელდეს.

—

ამა წლის სექტემბრის 11-მდე იმ პირობით, რომ ფულის ანგარიშის გასწორება კავკასიის სამხედრო-საოლქო სასართლოსი დამთავრებულ იქმნას არა უგვიანეს სექტემბრის 20-სა, ჯამაგირის შენახვით ამ დღემდე ამ კომისიის თავმჯდომარისა და შემოსავალ-გასავალის აღმრიცხველისათვის.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით ფოთში რიონზე ხიდის გაკეთებისათვის საჭირო კრედიტის გადადების შესახებ მთავრობამ დაადგინა: 1) დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს ორი კვირის განმავლობაში შეიტანოს სატეხნიკო სათათბიროში პროექტი ფოთში რიონზე ხიდის გაკეთების თაობაზე. 2) ნება მიეცეს ფინანსთა სამინისტროს მოახდინოს რეალიზაცია სხვა და სხვა ქონებისა, რომელიც ინახება ფოთის პორტის ტერიტორიაზე, და ამ რიგად აღებული ფულიდან გაიღოს ნახევარი იმ კრედიტისა, რომელსაც განსაზღვრავს სატეხნიკო სათათბირო ხიდის გასაკეთებლად. 3) მიენდოს ჩვენს დელეგაციას ბერლინში გამოარკვიოს, შესაძლებელია თუ არა, რომ იმ სააქციონერო საზოგადოებამ, რომლის ხელში უნდა გადავიდეს იჯარად პორტი, მიიღოს ხსენებული ხიდის აშენებისათვის ხარჯები სრულად, ან ნახევრად. 4) ხიდის აშენებისათვის გაღებული კრედიტები გადაეცეს ფოთის ქალაქის თვითმართველობას, რომელმაც უნდა მიიღოს თავის თავზე შრომა ხიდის აშენებისა; ამასთანავე ის პირი, რომელიც იქნება სათა... დაამტკიცოს ფინანსთა მინისტრმა.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა გაეხსნას კრედიტი მილიონიან ფონდიდან 30,113 მან. გაუქმებულ საბაჟო დაწესებულებათა მოხელეების დასაკმაყოფილებლად.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა გამოიცეს ათ მანეთიანი ბონები სხვა ფერადებით.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით ტფილისის, ბათომისა და სოხუმის სახელმწიფო ბანკების და შემნახველი კასის მოხელეთათვის სიძვირის გამო ჯამაგირების მომატების თაობაზე, მთავრობამ დაადგინა: გადაეცეს მოხსენება შრომის სამინისტროს ამ საქმის შესახებ თავისი აზრის გამოსათქმელად.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა, დაწესდეს სათამაშო ქაღალდზე სახელმწიფო მონოპოლია.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით დადგენილ იქმნა: ჩაიზე აქციზის კანონპროექტი მიღებულ იქმნას და გადაეცეს ეროვნულ საბჭოს.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენება საკრედიტო ქაღალდების ექსპედიციის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მთავრობამ მოიწონა და დაადგინა გადაეცეს ეროვნულ საბჭოს.

—

ფინანსთა მინისტრის პროექტები: საფუთო გადასახადების, საკანცელიარიო გადასახადის, საწყობში შესანახი გადასახადისა მთავრობამ მოიწონა და დაადგინა წარედგინოს ეროვნულ საბჭოს.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა გერმანულ ფულის დასახურდავებლად სახელმწიფო ბანკში გადაიდოს ორასი ათასი მანეთი.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა გაეხსნას ფინანსთა მინისტრს კრედიტი 300,000 მან. სააქციზო უწყების მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ხარჯების დასაფარავად.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: ვინაიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მუშავდება პროექტი საგუბერნიო გამგეობათა და საგუბერნიო კომისრების თანამდებობათა მოსპობისა, აგრეთვე მუშავდება პროექტი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ახალი ადმინისტრატიული პრინციპით დაყოფისა (მარტო მაზრებად), ვინაიდან გარდა ამისა 36 მუხლის ძალით (შესახებ საერობო დაწესებულებათა) სამაზრო საერობო კრებულების შექმნით მაშინვე სწარმოებს არჩევნები საგუბერნიო საერობო კრებულთა ხმოსნებისა, ამისათვის საგუბერნიო დაწესებულებათა მოსპობის პროექტთან დაკავშირებით შეჩერებულ იქმნას დროებით მართველობის წესით, ვიდრე ხსენებულ პროექტს ეროვნული საბჭო განიხილავდეს, მუხლები 43—50, რომლებიც ეხებიან საგუბერნიო საერობო მართველობის არჩევნების მოხდენას.

—

გზათა მინისტრის მოხსენებით სარკინიგზო მიმოზიდვის კომიტეტის დაარსების შესახებ მოწონებულ იქმნა.

—

სამხედრო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან საგუბერნიო სასანიტარო კომისიისათვის ოცდა ათი ათასი მანეთის კრედიტი ხოლერასთან საბრძოლველად.

# უკანასკნელი ცნობები

## ალბულაღის ამბები

სამხედრო მინისტრს ალბულაღიდან გენერალი წულუკიძე ატყობინებს: ახალი არაფერი მომხდარა, ჩვენი ჯარი მშვიდობიანობას არ არღვევს. მანგლისის საზოგადო ყრილობამ ერთხმად დაადგინა სამი დღის განმავლობაში იარაღი ჩაგვაბაროს.

# ეროვნული საბჭო

(დასასრული)

**სამსონ დადიანი.** (ს. ფ.) ჩვენ, ვისაც განგვიცდია ეროვნული ჩაგვრა, არ შეგვშვენის ვილაპარაკოთ იმაზედ, რომ ჩვენს სახელმწიფოში მყოფ უმცირესობას საშუალება არ მივცეთ თანასწორი მოქალაქური თავისუფლების და უფლე... ძლება თავისი ეროვნულ კულ...
თავისებურობის განვითარებისა...
მტკიცე... ჩვენ ... 
შეიქმნის უფლებრივად თანასწ...
ხელ... 
ფეროვან თაიგულს წარმოადგენდ...
კაცობრიო ოჯახი. (რ. გაბაშვილი ...
ლიდან. ეგ პოეზიაა) დიახ, ეს პოე...
რომელსაც ვერ გაიგებს ისეთი ადამ...
ვისაც სურვილი აქვს მუდამ სხვისი ...
შით იკვებებოდეს. ხოლო ერების ურ...
ერთობაში ამ სამართლიანობას ჩვ...
რწმენით დაამყარებს სოციალიზმი.
ნამდე კი, ყოველი ნაბიჯი ერებისა...
სახელმწიფოთა ცხოვრებაში თან...
თანობითი დამოყვასება უნდა იყოს ...
სამართლიანობის ნიადაგზე. ჩვენ გვ...
დღეს ჩვენი ეროვნული სახელმწი...
და ჩვენი მოვალეობა და მიზანია ...
ველი ეროვნულ უმცირესობის გათან...
წორება. მაგალითები ბევრია და ...
ერთს მოვიყვან: ონიაშვილმა აქა სოც...
თუ როგორ არ უნდა იქცეოდნენ სახე...
მწიფონი, რომ მერე თავიანთ ნაშ...
მოებ პოლიტიკის რისხვა თვითონვე ...
დაატყდეთ თავს. მე კი ვიტყვი ...
როგორ უნდა იქცეოდნენ სახელმწიფ...
ნი, რომ საბოლოოდ უზრუნველყ...
თავიანთ არსებობის გარანტია: მაგალ...
თად ინგლისის პოლიტიკა საუცხო...
ნიმუშია ამისთვის. სამწუხაროდ ინგლი...
ნაციონალურ შუღლის პოლიტიკას აწ...
მოებდა ირლანდიაში და ამას ნაყოფ...
მუდამ ირლანდიის დაუცხრომლობა ...
უკმაყოფილება მოსდევდა. სამაგიერ...
სხვა იყო ინგლისის პოლიტიკა კანად...
ახალზელანდიაში, იქ მან ისეთი მდგომარე...
ბა შექმნა, რომ ყოველი კანადელი ...
ყად ამბობს: მე ინგლისის მოქალა...
ვარო. როცა ბურების აჯანყება მოხდ...
ყველა ინგლისის ახალშენი ბურებს ...
არ დაეხმარა. პირ იქით, მათ წინააღ...
დეგ ამხედრდა და სისხლში ჩახრჩო ...
ნაურები. ეს ინგლისის ახალშენი...
ნაწარმოებ პოლიტიკის ნაყოფი ...
ასეთი გაკვეთილები ჩვენც უნდა ...
ვიყენოთ, როცა ჩვენს ეროვნულ ...
რესობის ბედზედა ვმსჯელობთ. ...
ლია, ამ კანონში არის ნაკლი, ...
ამ ნაკლის გამოსწორება შეიძლ...
შინ, როცა ამ დარბაზში შემოვლ...
ყოველთაო არჩევნებით არჩეული...
მომადგენლები ჩვენი სახელმწი...
განურჩევლად ეროვნებისა და სქ...
დღეს დღეობით კი ჩვენ ... ვა...
იმას, რის მიცემაც შეგვიძლიან ...
თლიანობის ნიადაგზე.

**რ. გაბაშვილი.** როცა ამ საქ...
ფედერალისტები ლაპარაკობენ, ...
დიან მაკვირვებს. ისინი ინგლისი...
კანადის შესახებ გვიკითხავენ ...
რიებს, მაგრამ მათ იციან ისტ...
ჩვენივე ქვეყნისა? რაც შეეხება მ...
პარტიის ს.-დ. წარმომადგენლებს, ...
მელთაც არა მარტო ტაქტიკა და ...
გრამა, არამედ თავიანთ პარტი...
ცხოვრებაც კი ყირაზე დაყენეს...
სულ გაუგებარია. ონიაშვილმა ...
სთქვა და მე გადმომაბრალა, ეს ...
ცრუეა. რუსეთის პოლიტიკა და ...
ლიპინთან შედარება აქ მსატან...
არის. ასეთ სამართლიანობა და ...
ტიმენტებზე ლაპარაკი თქვენს ...
ტიულ ბიუროებში შეგიძლიათ, ...
თვითონ თქვენივე მოქმედება არ...
ძლევთ მაგის უფლებას. სამართლია...
ბის პრინციპის წინააღმდეგ არა ...
დაც დამტკიცდეს, რომ ჩვენ სახე...
წიფოში სტატისტიკურად იმდენი უც...
მცხოვრებია, რამდენ ხმასაც ქვენ აძ...
გებთ და მაშინ, როგორც გებოთ, ...
მოიქეცით. მანამდე კი თქვენი ლა...
რაკი სანტიმენტობაა. დანარჩენი არა...
ფერი.

**მ. მაჩაბელი.** (ნ. დ.) ... ჩვ...
ერის ისტორია იცის, დამეთანხმება ...
არც ერთი ისეთი გულკეთილ არა...
ფილა, როგორც ქართველი ი. ...
სადამე, ვინც გამოვა და ჩვენ მ...
რელობაზე ილაპარაკებს, ეს სიც...
მასალა იქნება. ჩვენცა გვსურს, სა...
თველოს ყველა მოქალაქე გათანასწო...
ბული იყოს. თქვენ უცხო ერ წა...
მადგენლებს მეტს აძლევთ და ...
მათი გულის მოგება გინდათ ...
ქართველოში ქართველის დაჩაგვრა...
არა სამართლიანობა. ისა სჯობია ...
ოდე დღით გიდაიდოს ეს ნორ...
ხელ ახლად გადაიშინჯოს.

**ივ. გობეჩია.** (ს. რ.) სოც.-ფე...
ციის სახელით ვაცხადებ რომ ჩვენ ...
მეტად მიგვაჩნია ლაპარაკი ... ზედ, ...
რამდენად სამართლიანია ... კანო...
ჩვენი სახელმწიფოებრიობის ინტერ...
მოითხოვს ამ პარლამენტში ... 
წარმომადგენელი იყოს ...
გაუუბნევიან, გადავდოთ ეს ...

...ვის განმავლობაში შეიძლება ჩვენი სახელმწიფოს სტატისტიკური აღწერა? ძველი სტატისტიკის მიხედვით კი ყოველ მხრით გაირჩა ეს საკითხი სამანდატო კომისიაში. მაშასადამე გადადებით სრულიად არაფერი შეიცვლება და საჭიროა აუცილებლად ეხლავე გადასწყდეს ეს საკითხი.

გობეჩიას სიტყვის შემდეგ კამათი სწყდება.

**შ. მიქელაძე.** ჩემს მოხსენებაში, მე არაფერი მითქვამს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების საჭიროებასა და პროპორციონალურ მხარის სახეზ, ვინაიდან ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო ეროვნულ საბჭოს მიერ ...ვის წინანდელ დადგენილებით. დღეს კი პრინციპიალური ხასიათის კამათი გაიმართა, მაგრამ ჩემს წინეთ მოლაპარაკე ორატორებმა, ონიაშვილმა და საძს. დადიანმა ამოსწურეს და სავსებით დაასაბუთეს ეს საკითხი. ამიტომ მე პირდაპირ იმ ფაქტიურ შენიშვნებზე გადავალ, რომელიც აქ ნ. დ. წარმომადგენლებმა წამოაყენეს. პირველი ის რომ ბ. გაბაშვილს არითმეტიკა აერია: 26 წარმომადგენელი ეროვნულ უმცირესობათა შეადგენს არა 23% მთელი ეროვნულ საბჭოს წევრეაისა, არამედ 20%. რაც შეეხება მეცნიერულად დამტკიცებულ სტატისტიკის საჭიროებას და სანამდე ასეთი სტატისტიკა არ იქნება, ამ კანონის გადადებას ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მოწვევის შესახებ, ეს იქნება ამ საკითხის სავსებით დამარხვა, ვინაიდან ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეხლანდელ დროში ყოვლად შეუძლებელია საქართველოს სახელმწიფოს მეტრიული სტატისტიკის შედგენა. შესაძლებელიც რომ იყოს, ეს მასალა ხანგრძლივ დამუშავებას და ამისთვის რამოდენიმე წელიწადს მოითხოვს. შემცდარია აზრი, ვითომც ჩვენ არავითარი მასალა არა გვქონდეს. ჩვენს ხელში იყო 1896 წლის აღწერა, ადმინისტრაციის ცნობები. კავკასიის კალენდარში მოთავსებული ცნობები, და 1916 წლის სამეურნეო აღწერა და ამის მიხედვით დამუშავებული ცნობები ორი ახალგაზრ და მეცნიერის მიერ. ყველა ეს ცნობები შესწორებულ იქმნა იმ ხრივ, რომ ჩვენ მხედველობაში მივიღეთ მხოლოდ მკვიდრი მცხოვრებნი საქართველოსი და მისი მოქალაქენი. რაც შეეხება წარმომადგენელს სულ მცირე ეროვნულ უმცირესობისა, იმის შესახებ უკვე მოგახსენეთ, რომ სასურველია საქართველოს ტერიტორიაზე არ დარჩეს არც ერთი უმცირესობა, რომ მას ერთი წარმომადგენელი მაინც არა ჰყავდეს.

გაბაშვილი ამბობს: არ შეიძლება ასეთი მათი წარმომადგენლების ეროვნულ საბჭოებიდან მოყვანა, ვინაიდან ისინი ...სდგებიან არა ჩვენს მოქალაქეებიდან ...ა ერთი მათგანი უცხო სახელმწიფოს ...არმომადგენელიც კი არისო. ამის შესახებ კახონ პროექტში ნათლად სწერია: ...რმომადგენლები მოიწვევიან ისეთ საბ...ოებიდან, რომელნიც საქართველოს ...ვარგლებში მკვიდრ მოქალაქეთაგან შესდგებიანო. ამით, რა თქმა უნდა ამიერკავკასიის საბჭოს უფლება არა აქვს გამოგზავნოს თავისი წარმომადგენელი.

(შემოდის წინადადება კრება ამ საკითხის გარჩევამდე გაგრძელდეს ვინაიდან რეგლამენტის დრო უკვე გასულია) კრება ადგენს გაგრძელდეს კამათი.

**გ. ქიქოძე (ნ.-დ.)** ჩვენი სახელმწიფო ...ოვრება გვავალებს, ტერიტორიალურ ...ინციპის მიხედვით ყველამ მიიღოს ...ნაწილეობა ჩვენს სახელმწიფოებრივ ...მშენებლობაში. მაგრამ ჩემის აზრით ... პროპორცია, ამ კანონის პირველ მუ...ში რომ არის აღნიშნული, ნამდვილი ...აა, ვინაიდან იქ ნაჩვენებ სომხობას ...იდი ნაწილი ქართველი გრიგორიანე...ია, მაშასადამე არ შეიძლება მათი პო...იტიკური წარმომადგენლობა რომე...იმე დაშნაკცაკანს მივანდოთ. ამიტომ ...მეხთა წარმომადგენლების რიცხვს ...იძლება მოუკლოთ და 10 მაგიერ 9 ...მოვიყვანოთ. ქართველი ისრაელები, ...გორც ეროვნება, ისეა გამოყოფილი, ...გრამ მათი სარწმუნოება პოლიტიკურად ...რა გვყოფს, მაშასადამე მათი შემოყვანა ... შეიძლება მოხდეს. რაც შეეხება ოუს ...რაელეის, ისინი მომრავი ერის წარმომადგენლები არიან, ამიტომ წინაამდეგი ...ო მათი წარმომადგენლების კანონის ...ხედვით მოწვევისა. სამაგიეროდ აქ ...ტახილი არ არის აჭარლეიისა და დი...ოელეის წარმომადგენელი, რომელნიც ...ემის აზრით მოწვეულნი უნდა იყვნენ.

კამათში მონაწილეობენ დ. ჩიქოვანი, ... გაბაშვილი, შ. მიქელაძე და სხვანი. ...ინადადება შემოდის ამ საკითხზე მსჯელობა შეწყდეს.

თავმჯდომარე კენჭს უყრის. კენჭის ყრის დროს ირკვევა, რომ ქვორუმი აღარ არის. კრება სწყდება საღამოს ხუთ საათზე.

# ომის დეპეშები

### დასავლეთის ფრონტი.

**ბერლინი.** 9—9. არმანციერთან მტერმა იერიშები განაახლა. ჩვენ ის მოვიგერიეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. არლე-გავრენკურტის არხის სექტორთან საარტილერიო და საზვერავო მოქმედებაა. პერონ-კამპრეს გზატკეცილის სამხრეთით მტერი განაგრძობდა სასტიკ იერიშებს გუზოკურტ—ენჩის ხაზის პირდაპირ, ტემპლეს ჩრდილოეთით. მტრის მოქმედებამ აქ უნაყოფოდ ჩაიარა. ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა ხელი შეუშალეს მტერს, რომელიც სენ—სომონსა და კროზატის არხზე აპირებდა გადასვლას. უაზსა და ელეტს შუა მზვერავთა მოქმედებაა. ელეტსა და ენს შუა მტერმა არა ერთხელ მოიტანა იერიში, მაგრამ უნაყოფოდ: საღამოს მან საერთო იერიში დაიწყო. მთელ ფრონტზე, ყველგან მოვიგერიეთ მტერი. ვესლასა და ენს შუა მტრის იერიშები უნდაყოფოდ ჩატარდა, აგრეთვე შამპანშიაც. ჩამოვაგდეთ ინგლისელთა 5 ჰაეროპლანი.

აგვისტოს განმავლობაში გერმანიის ფრონტზე ჩამოვაგდეთ მტრის 565 ჰაეროპლანი: მათში 62 საზენიტო ბატარეის ცეცხლის საშუალებით. ჩამოვაგდეთ აგრეთვე 52 საჰაერო ბალონი. 251 ჰაეროპლანი ჩვენს ბანაკში ჩამოვარდა, დანარჩენი მტრის ხაზების იქით. იმავე ბრძოლებში ჩვენ დავკარგეთ 143 ჰაეროპლანი და 86 საჰაერო ბალონი.

**ბერლინი** 9—9 საღამოს ცნობა ბრძოლის ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

**პარიზი.** 9—9 ფრანგების ჯარმა კიდევ გაიმარჯვა ფრონტის სხვა და სხვა ადგილას. სომას ჩრდილოეთით ფრანგებმა აიღეს სოფლები ეტრეილიერი და რუპი. კროზატის არხის იქითა მხარეს ფრანგებმა აიღეს გრანდ-სეროკურტი, კლისტროში, მონტესკურტი, ლიზერილი და რემინი. ფრანგების მოწინავე ნაწილებმა აიღეს „103"-ის მაღლობი, კონტეკურტის სამხრეთით, ესენი-ლეგრანდის სადგური და „117"-ის მაღლობი. უაზის ჩრდილოეთით ფრანგებმა აიღეს ფორტი ლიე, კანლერის ფერმა და წითელი ფერმა. უაზის სამხრეთით ფრანგებმა აიღეს აგურის ქარხანა და სად. სერვუა. ფრანგების ჯარმა მეორე მხრით თავისი პოზიციები გააფართოვა ლიაფოს ჩრდილოეთით და ენსა და ვესლას შუა, გლენის რაიონში.

**ამერიკელების ცნობა.** ვოვრში მოვიგერიეთ მტრის პატრული, ჩვენ პოსტებზე რომ მოიტანა იერიში. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

### იტალიის ფრონტი

**ვენა.** 9—9. მონტე-პორტიკოსთან გუშინ-წინ საღამოს და გუშინ დილით იტალიელთა იერიშები ცეცხლის საშუალებით მოვიგერიეთ. მტერი დიდად დაზიანდა.

**სტამბოლი.** 9—8. ზღვის სანაპიროთი საარტილერიო ბრძოლაა. აქ ჩვენი პატრულებიც ბრწყინვალედ მოქმედებენ. იერუსალემ-ნობლუსის გზატკეცილის დასავლეთით ჩვენებმა მტრის მზვერავები გარეკეს. ადგილ-ადგილ ჩვენ პოზიციებს მტერი ყუმბარებს უშენდა. ჩვენმა ბატარეებმა მტრის კავალერიას სროლა აუტეხეს: კავალერია იორდანეს სახიდო სიმაგრისკენ მიემართებოდა. ჩვენმა კავალერიამ იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირას მტრის ცხენოსნები გარეკა და მენდესის სახიდო სიმაგრეებისკენ წაიწია. უკანასკნელ დღეებში აჯანყებულები სასტიკად დამარცხდნენ. კალიატ-ელ-ხეზას ჩრდილო-დასავლეთით აჯანყებულთა ბანდები ვაოტეთ და ტაფილებში შევიჭერით, სადაც მცხოვრებლები ჩვენს ჯარს სიხარულით შეხვდნენ. მაახიდან ჩრდილოეთით გაგზავნილმა რაზმებმა აჯანყებულები დაამარცხეს და დაატყვევეს 1 ოფიცერი და 20 მეომარი. ხელთ იგდეს რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი. მედინთან აჯანყებულთა ბუდე გავანადგურეთ და შემდეგ ჩრდილოეთი მოვიგერიეთ მტერი, რომელიც ჩვენს დარაჯებს თავს დაეცა.

# ახალი ამბავი

◆ **ამიერ-კავკასიის ბონები.** საქართველოს რესპუბლიკის რწმუნებულმა, ფინანსთა მინისტრმა ჟურულმა, სომხეთის საქმეების რწმუნებულმა საქართველოს მთავრობასთან მყოფმა ჯამალიანმა და ადერბეიჯანისა—მ. ჯაფაროვმა სექტემბრის 6-ს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალით აღნიშნული რესპუბლიკები პასუხისმგებელი არიან უკვე გამოცემულ 300 მილიონის ბონებზე, გამოცემული იქნება კიდევ 280 მილ. მანეთის ბონები. ეს ხელშეკრულება სავალდებულოა სამივე სახელმწიფოს მთავრობისათვის და ძალაში დარჩება ზოგიერთი ცვლილებებითა დ დამატებით, რომელიც შეთანხმებაშია მოხსენებული.

◆ **დისპუტი.** დღეს საღამოს 7 ნახევარ საათზე კავკასიის სამედიცინო საზოგადოების დარბაზში (ალექსანდრეს ბაღი, პუშკინის ბიბლიოთეკა) შესდგება კავკასიის თავისუფალ მოაზრეთა კავშირის მიერ გამართული დისპუტი ამ ტემაზე: „იესო ქრისტეს და კარლ მარქსის მოძღვრება".

◆ **ჯარში გახაწვევი ახალგაზრდანი.** გუშინ მანგლისის რაიონიდან, სოფ. დიდი თიანეთიდან, ტფილისში ჩამოვიდა ორასამდე ახალგაზრდა, რომელნიც თავის ნებით შეკრებილან ჯარში წასასვლელად. ახალგაზრდები გოლოვინის პროსპექტით, მხიარულის ყიჟინითა და ზურნით შევიდნენ სასახლის ეზოში საქართველოს მთავრობასა და სამხედრო მინისტრთან წარსადგომად.

◆ **კატორღა დეზერტირობისათვის.** სამტრედიის ტრიბუნალმა ცხრა წლის კატორღა გადაუწყვიტა პირველი პოლკის ჯარის კაცს ვლადიმერ შენგელაიას, მიტომ რომ ის თავის ნებით ჩამორჩა თავის ეშელონს და სახლში დაბრუნდა. დასჯილის მშობელთა თხოვნა ტრიბუნალით გადაწყვეტილების გადაშინჯვის შესახებ სამხედრო მინისტრმა არ შეიწყნარა.

◆ **მადლობა.** სამხედრო მინისტრმა უგულითადესი მადლობა გამოუცხადა ლეიტენანტ. ნ. ლ. შლიპგფს, რომელმაც გერმანიაში ჩვენი ლეგიონერები სანიმუშოდ გაწვრთნა და მოამზადა გერმანელთა ჯარისა და დისციპლინის მიხედვით. როგორც ვიცით ლეგიონის ერთი ნაწილი უკვე ჩამოვიდა ტფილისში.

◆ **დანიშვნა.** სამხედრო მინისტრის განკარგულებით ქუთაისის სამხედრო უფროსის თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი ქლენტი.

◆ **კარჯკლისში.** მოჰკლეს აქაური საოლქო საოლქო კომისარი არუთინოვი. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

◆ **სამეგრელოს დამხმარე კომიტეტი** შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, გადადებულ იქმნას სამეგრელოსათვის საექიმო მოწყობილობები, ვინაიდან სამეგრელოში ძლიერ გახშირებულია ავადმყოფობა.

◆ **ქურდობა.** მომარაგების კომიტეტიდან საქონლის გატაცებისათვის დაატუსაღეს სექტემბრის 10-ს ივანე სამსონია, ვარლამ და პეტრე ლომაძეები, ვასო ჩხაიძე და გიორგი ასკურავა.

**ბაქოს ქართველები.** მთავრობის მონდობილობით გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიმართა ადერბეიჯანის მთავრობას, დაცული იქმნას იმ ქართველ ქვეშევრდომთა ინტერესები, რომელნიც ბაქოში იმყოფებიან.

◆ **ქურდობა.** სექტემბრის 8-ს ჯარისკაცთა ბაზარში გაქურდეს ოსმალოა აფიცერი ფრახარდინი-რედხივ ოდლი, რომელსაც წართვეს 12000 მანეთი. ორი ბოროტმომქმედთაგანი დაატუსაღეს: ოლლა აკოპოვი და პორუჩ. ს. სტეფანიანცი.

◆ **გაკვეთილების ნუსხა სასწავლებლებში** განათლების სამინისტრომ შეიმუშავა შემდეგი კვირეული ნუსხა გაკვეთილებისა მთავრობის გიმნაზიებში: ქართული ენის გაკვეთილები სულ 29, რუსულის—25, გერმანულის—26, ფრანგულის—17, ლათინურის—12, ფილოსოფიური პროპედევტიკის—4, სჯულთმეცნიერების—2, არითმეტიკის—9, გეომეტრიის—8, ალგებრის—10, ტრიგონომეტრის—3, ფიზიკის—10, კოსმოგრაფიის—2, საქართველოს ისტორიის—10, მსოფლიო ისტორიის—17, გეოგრაფიის—17, ბუნებისმეტყველების—10, ხატვის—5, სიმღერის—2; პირველ კლასში, იქნება სულ 24 გაკვეთილი კვირაში, მეორეში—23, მესამეში—26, მეოთხეში—26, მეხუთეში—28, მეექვსეში—28 მეშვიდეში—30, მერვეში—33. სწავლა დაიწყება სექტემბრის 20-ს.

◆ **სომხეთის ტერიტორია]** გერმანიის სამხედრო მისია იტყობინება, რომ გენერალ ფონ-კრესს ერევანში უკანასკნელად ყოფნის დროს მოლაპარაკება ჰქონდა ოსმალეთის ჯარის უფროსებთან და სომხეთის მთავრობასთან სომხეთის ტერიტორიის განთავისუფლების შესახებ ოსმალოს ჯარისაგან. მოლაპარაკებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო ორივე მხრისათვის. აწ ოსმალეთის მხრით უკვე აღარავითარი საფრთხე არ მოელის სომხეთს

◆ **ამიერკავკასიის კოოპ. კავშირი** ამით აცხადებს, რომ ვინაიდან პროვინციიდან საკმაო რიცხვი წარმომადგენლებისა, მიმოსვლის არევ-დარევის გამო, დანიშნულ დროზე კოოპერატივების რწმუნებულების კრებაზე დასასწრებლად ვერ ჩამოვიდა, კრება გადაიდვა 12 სექტემბრისთვის ჩამოსულ წარმომადგენლებს სთხოვენ არ დაიშალონ და ხუთშაბათს სექტემბრის 12-ს დილის 10 საათზე გამოცხადდნენ მუშათა კლუბში, მიხეილის ქუჩა № 65.

◆ **ილია ნაკაშიძის ლექცია.** დღეს, სექტემბრის 11-ს, კადეტთა კორპუსში საღამოს 8 საათზე საშუალო სკოლის მასწავლებელთა კურსებზე ილია ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ერი და ეროვნული სკოლა". დასასრულ კამათი.

# საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

**საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტის მთავარი კომიტეტი სთხოვს ამხ. შალვა ნუცუბიძეს და ერ. ტოროტაძეს დაუყონებლივ ტფილისს ჩამოვიდნენ.**

—

დღეს, ოთხშაბათს, სექტემბრის 11, პარტიულ კლუბის დარბაზში გაიმართება კრება ვერაზე, მთაწმინდაში, ხარფუხში და ავლაბარში მცხოვრებ ამხანაგებისა. განსახილველია საკონფერენციო საკითხები და ასარჩევი-დელეგატები. ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლად მოვიდნენ და ნუ დაიგვიანებენ. კრების დასაწყისი საღ. 7 საათზე. (ახ. დრ.)

—

ამხ. ალ. მდივნის მოხსენების გაგრძელება დანიშნულია ხუთშაბათისთვის, სექტ. 12 პარტიულ კლუბის დარბზში. დასაწყის საღ 8 საათზე.

—

ხუთშაბათს სექტ. 12 დანიშნულია კუკიის, ერთობის უბნის და წმ. ნინოს უბნის ამხანაგთა საერთო კრება. განსახილველია საკონფერენციო საკითხები და ასარჩევია დელეგატები. კრების დასაწყისი საღამოს სრულ 6 საათზე. (ახ დროით.) კრება მოხდება სასულიერო სასწავლებლის შენობაში. ჩერქეზიშვილის ქუჩა. № 22.

# † კაპიტანი არჩილ საყვარელიძე

ენკენისთვის 9-ს ბათომის პარტიზანულ პოლკის უფროსის გენ. იოს. გედევანიშვილისაგან მივიღეთ ფრიად სამწუხარო დეპეშა: ენკენისთვის 7-ს სოფელ კულისკართან ბრძოლაში მოჰკლეს კაპიტანი არჩილ საყვარელიძეო. რა თავზარდამცემია, რა საზარელია ეს მოკლე ამბავი ყველა მისთვის, ვინც არამც თუ დაახლოებული იყო განსვენებულთან, არამედ ვისაც უბრალო ნაცნობობა ჰქონია მასთან?

კაცი ვერ შეჰრიგებია იმ აზრს, რომ ჩვენი გულწრფელი, სიცოცხლით ალსავსე, ახალგაზდა მებრძოლი და მშვენიერი სულის პატრონი ამხანაგი აღარა გვყავს! მის ნათესავ-მახლობლებმა დაჰკარგეს უძვირფასესი ადამიანი, ხოლო ჩვენმა პარტიამ გულწრფელი და მედგარი მებრძოლი საუკეთესო იდეალებისთვის. აკი თავი თავისი დასდო კიდევაც სამშობლოს სამსხვერპლოზე!

განსვენებული არჩილ საყვარელიძე დაიბადა 1890 წელს. სწავლობდა ტფ. ქართულ გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1909 წელსა. პირველად იგი შევიდა ტომსკის პოლიტეხნიკუმში, ხოლო მერე გადავიდა პეტროგრადის პოლიტეხნიკუმში. რამდენისამე ხნის შემდეგ მას ჯარისკაცობამ უწია და იგიც წაიყვანეს. სწორედ მსოფლიო ომის წინ მან გაათავა სამსახურის ვადა, მაგრამ რაკი ომი დაიწყო, იგი ისევ სამსახურში დასტოვეს. იგი მსახურებდა არტილერიაში და მალე ოფიცრობაც მიიღო.

ომის პირველ თვიდანვე, აგვისტოდან იგი ოთხი წლის განმავლობაში იბრძოდა გერმანიის ფრონტზე. უდიდეს ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა და არაფერი დაჰშავებია. ეხლა კი ვილაც-ვინგინდარას მუხთალმა ტყვიამ სიცოცხლე მოუსწრაფა, სწორედ მაშინ, როცა ელირსა თავის თვალით ენახა სამშობლოს ბედნიერება.

როდესაც ჯარის ნაციონალიზაცია მოხდა—საყვარელიძე არჩილი პირველი იყო, რომელმაც ქართულ ჯარს მიაშურა. იგი უკანასკნელ დრომდე მსახურებდა მე-2 საარტილერიო ბრიგადაში და ბატარეის უფროსად ითვლებოდა. ამ ბოლო ხანებში აპირებდა ისევ მოქალაქობრივ ცხოვრებას დაჰბრუნებოდა, მაგრამ როცა გაიგო, რომ სამეგრელოში ყაჩაღ-ბოლშევიკთა ბრბოებთან საბრძოლველად მიდის ჩვენი პარტიზანული პოლკი და მასთანვე ასრდება საარტილერიო ნაწილი—გულმა ვეღარ მოუთმინა და [illegible] რომ არ [illegible] ხანს [illegible]

მშვიდობით საყვარელო ადამიანო და ამხანაგო. შენ აასრულე შენი მოვალეობა მამულიშვილისა და სიცოცხლეც შესწირე საყვარელ სამშობლოს. მშვიდობით საყვარელო ამხანაგო, რომელსაც ჩვენი პარტიის ბედი ყოველთვის გულში გიტარებია და გამზიარებელი ყოფილხარ მისი ჭირისა და ლხინისა. შენი სახელი მარადის ცოცხალი იქნება არამც თუ შენი მახლობლების, არამედ ყველა იმათ გულში, ვინც გაგიცნობია და შენთან როდისმე რამე საქმე ჰქონია!

# † ექ. ილიკო ანდრონიკაშვილი

ხანმოკლე ავამტყოფობის შემდეგ ენკენისთვის 9-ს ტფილიში გარდაიცვალა ამხ. ექიმი ილიკო ანდრონიკაშვილი. მას დღეს ასაფლავებენ. ვინც იცნობდა განსვენებულს, არ შეიძლება ძლიერად გული არ დასწყვიტოს ამ წყნარ და პატიოსან მუშაკის უდროოდ დაკარგვამ.

ამხ. ილიკო ჩუმი, უჩინარი მოღვაწე იყო, რომლისათვისაც საზოგადო საქმე პირად საქმედ გადაქცეულიყო. წინად იგი ეკუთნოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ხოლო ამ ბოლო წლებში იგი ჩვენ მოგვემხრო. ამხ. ილიკო იტანჯებოდა სამშობლოს ტანჯვასთან ერთად და მხიარულობდა მისი მხიარულების დროს. რამდენი ფიქრი და ოცნება წარიღო თან აძ ყოვლად პატიოსანმა ადამიანმა! სასტიკმა სენმა-ჭლექმა და შემდეგ უბრალო ავადმყოფობამ გადიტანა ეს სასარგებლო მოღვაწე.

საუკუნოდ იყოს ხსენება განსვენებულისა ჩვენში!

# ხმა ჩვენს ამოვიღოთ

(დასასრული*)

დანგრეულ რუსეთისაგან ჩვენ რესპუბლიკას მდიდარი მემკვიდრეობა დარჩა სახელმწიფო ქონებათა სახით: საუფლისწულო მამულები (კახეთისა, ქართლისა, ბორჩალოსი, იმერეთისა), სახელმწიფო ტყეები, საძოვრები, კერძო პირთა მსხვილი კულტურული მამულები, რომელთა დანაწილება სხვ. და სხვ. სახელმწიფოებრივ მოსაზრებებით სასურველად არ არის მიჩნეული. (ბორჯომის მამული, ბორჩალოს მემამულეებისა, ანანოვისა და სხვ.) აი ის მრავალ მილიონად ღირებული ქონება, რომელსაც თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეს ყოველი ჩვენთაგანი. ამ მამულების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან შეფარდებით საზრიან გამგებლობის მოწყობაში საქმით თუ რჩევით ყველა მცოდნე სპეციალისტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა.

რევოლიუციის უმთავრესი მიზანი იყო სხვათა შორის მიწის საკითხის მშრომელთა სასარგებლოდ გადაწყვეტა. მთავრობა უკვე შეუდგა აწ განსვენებულ ამიერკავკასიის სეიმის ე. წ. „მიწის კანონის" განხორციელებას. მიმღებმა კომისიებმა თითქმის ყველგან ჩამოართვეს მებატონეებს ნორმაზე მეტი მამულები. მაგრამ ეს ხომ მთელ ამ რთულ და მეტად სერიოზულ რეფორმაში ყველაზე მარტივი, ყველაზე ადვილი საქმეა. უმთავრესი მომენტი რეფორმისა ჯერ წინ არის და სწორედ ის მომენტია ყველაზე საყურადღებო ჩვენ მაშვრალ გლეხკაცობისათვის, სწორედ ამას მოელიან მოუთმინლად მიწის მუშები. როდის, ვის და რა სახით გადაეცემა ეს ჩამორთმეული მამულები—აი საკითხი, რომლის სირთულისა და სიდიადის წინაშე, სიმართლე უნდა ითქვას, აბნეულები შეჩერდნენ ჩვენი პოლიტიკურ ცხოვრების მესვეურნი. პოლიტიკური პარტიები რყევაში არიან და ლამის უარჰყონ ის, რაც რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში შეურყეველ ჭეშმარიტებ დ მიაჩნდათ, რისთვისაც თვითეული მათგანი მარჯვნივ და მარცხნივ გაშმაგებით იბრძოდა. ასეთი რყევა, როცა ცხოვრების სინამდვილეს პირის-პირ შევხვდით, არც გასაკვირველია. ჩვენ არა გვაქვს სწორი, უტყუარი სტატისტიკური ცნობები არც მიწათმფლობელებისა, არც მცხოვრებთა რაოდენობაზე და სხ. და სხ. დარგში მომუშავეთა მიხედვით, არც მიწის რაოდენობის შესახებ მის ხარისხებისა და გამოსადეგობის მიხედვით, არც საქონლით, ინვენტარით და სხ. საწარმოო სა...

*) იხ. „სახ. საქმე" № 327.

შეღავათებით უზრუნველყოფის შესახებ და არც სხვა სამეურნეო პირობების შესახებ არის მარტო თვითეულ სოფლისათვის, თვითეულ სამეურნეო რაიონისათვის-კი. ასეთ პირობებში ადვილი შესაძლებელია შემცდარ ნაბიჯის გადადგმა, რაიც დიდი ხნით შეაჩერებს სასოფლო-სამეურნეო პროგრესს და შეიძლება ძირს გამოუთხაროს ჩვენ სოფლის და მით მთელ სახელმწიფოს არსებობას.

ჩვენ არ შეგვიძლიან მიწის რეფორმას ვიწროთ შევხედოთ, ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს საადგილ-მამულო რეფორმა, თუ მას მხოლოდ ერთი მიზანი დაედება საფუძვლად—აქამდის არსებულ მიწათ-მფლობელობით გამოწვეულ უთანასწორობის მოსპობა—თუ ამასთანავე ეს რეფორმა არ შექმნის მიწით სარგებლობის ისეთ წესს, რომელიც უზრუნველ ჰყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურის უმაღლეს ხარისხამდე აყვანას, მიწაზე დაუზოგველ შრომით და ენერგიის უკიდურესობამდე განყოფიერებას და საზოგადოდ ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროგრესს. ჩვენთვის, აგრონომებისათვის, წმინდა აგრონომიულის თვალსაზრისით სულ ერთი არ არის ვინ მიიღებს მიწას, მართლა მიწის მუშა, თუ ყოველი, ვინც კი ფულს გაიღებს და იყიდის? გაიღება თუ არა მიწა (ისე როგორც მრავალი სხვა რამ ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში) სპეკულიაციის და გამდიდრების საგნად სახელმწიფოსა თუ კერძო პირთათვის? საკუთრებად მიეცემა მიწა თუ სასარგებლოდ? დარჩება? თუ არა მიწაზე იჯარა და რა სახითი როგორი მიეწერება მიწა თვითეულს რეფორმით გაბედნიერებულს, ერთგან თუ რამდენიმე ადგილას? და მრავალი სხ.

ყველა ამ საკითხების ჯეროვნად მოსაგვარებლად, ისე რომ ჩვენის გაუფრთხილებლობით, შეცდომებით ჩვენდა უნებურად ჩვენივე ხელით სამუდამო ხუნდები არ დავადგათ ჩვენს სასოფლო-მეურნეობის და მით ჩვენ სახელმწიფოს წინსვლელობას, დიდის სიფრთხილით, წინდახედულობით და წინასწარი მომზადებით უნდა შევეხოთ ამ საქმეს. საჭიროა მასალების მოგროვება, საფუძვლიანი შესწავლა ადგილობრივ პირობების მიხედვით, საგლეხო მეურნეობის ბიუჯეტის გამოკვლევა, საჭიროა მრავალმხრივი, სისტემატიურ და დალაგებული, წმინდა მეცნიერული მუშაობა.

ასე მრავალმხრივია და სერიოზული, მომენტის მიერ აგრონომების და ეკონომისტებისათვის წამოყენებული საკითხები. მაგრამ ამავ დროს უნდა გაუწიოთ ანგარიში იმასაც, რომ როგორც საკითხების სირთულე, სიღრმავე და ფართო სახელმწიფოებრივი ხასიათი, აგრეთვე ამ დარგის სპეციალისტ-აგრონომების მეტის-მეტი სიმცირე აუცილებლად ხდის ყველა არსებულ ძალების მეტის სისრულით გამოყენებას და ამ საგნით დაინტერესებულ პირთა შეთანხმებულ, შეკავშირებულ მუშაობას.

სად და როგორ შეიძლება შესაფერ მუშაობის გაჩაღება?

უპირველესად ყოვლისა საჭიროა დაარსება, ან უკეთ რომ ვსთქვათ, განახლება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალისა; მხოლოდ მასში ღირსეული ადგილი უნდა დაეთმოს ჩვენ სასოფლო-სამეურნეო სინამდვილის და ყველა აგრონომიულ საკითხების სისტემატიურ კვლევა-ძიებას. ამ საქმის გაძღოლა, თავისთავად ცხადია ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ უნდა იკისროს.

ამას გარდა თვით სას.-სამ. საზოგადოება ისეთ ცენტრად უნდა გადაიქცეს, რომლის გარშემო შემოიკრიბებიან აგრონომიული ძალები და შემოქმედებით მუშაობას გააჩაღებენ. ყველა საყურადღებო საკითხებზე მოხსენებების წაკითხვა, მათ შესახებ მსჯელობა-საუბრის გამართვა—აი საუკეთესო საშვალება დაინტერესებულ წრეებში მნიშვნელოვან საკითხების გარშემო საზოგადოებრივ აზრის ასამოძრავებლად.

მაგრამ ორივე ზემოხსენებულ საშვალებით არსებულ საჭიროებას სავსებით ვერ დავიკმაყოფილებთ. პირველი—ჟურნალი აზრთა გაცვლა-გამოცვლის მეტად ნელი საშუალებაა; მეორე კი—სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებები—იმას გარდა აგრონომების მეტი ნაწილისათვის ძნელი მისაწვდომია. ქართულ სასოფლო-სამეურ. საზოგადოების კრებებზე ფაქტიურად დასწრება—მონაწილეობა აგრონომიულ სფეროში მოღვაწეთა მხოლოდ მცირე რიცხვს შეუძლიან—ვინც ტფილისში სცხოვრობს. ჩვენი აგრონომიული ძალები კი მეტ წილად, როგორც ზემოთაც მოვიხსენიე, პროვინციაშია გაფანტული.

ამიტომ აუცილებელია რაც შეიძლება მოკლე ხანში მოწვეულ იქმნას სრულიად საქართველოს აგრონომიული ყრილობა, რომელიც თავის მუშაობით არსებულ ბურუსიდან გამოგვიყვანს, ერთვნულ შემოქმედებას ამ სფეროში გარკვეულ გეზს დაუსახავს, მოგვცემს ძირითად, სახელმძღვანელო პრინციპებს, როგორც აგრონომიულ დახმარების მოსაწყობად, აგრეთვე სხვა ჩვენ სასოფლო-სამეურნეო საკითხების ადგილობრივ გადასაწყვეტად. იგი მოჰკრეფავს და დაალაგებს მასალას, რომელიც შეიძლება შემდეგ საფუძვლათ დაედოს ჩვენ სამეურნეო უწყების მოქმედებას. იგი შეაჩერებს ფართო საზოგადოების ყურადღებას იმ ძირითად საკითხებზე, რომელნიც სრულიად უსამართლოდ მივიწყებულია. იგი თავს მოუყრის, შეაკავშირებს და გაამხნევებს დაქსაქსულ და ენერგია მოდუნებულ ჩვენ აგრონომიულ ძალებს ამ განახლების ჟამს.

მით უფრო თამამად ვბედავთ ამ საკითხის წამოყენებას, რომ ყრილობის მოწვევის აზრი დიდიხნის საოცნებო საგანი იყო ქართველ აგრონომებისათვის და ახლაც ფართო თანაგრძნობას პოულობს ჩვენ აგრონომიულ წრეებში, იმდენად დროის შესაფერისია და მომწიფებული ეს საკითხი.

მაშ ნულარ ვაგვიანებთ! დროა ხმა ჩვენც ამოვიღოთ, ხელი ჩვენც გავანძრიოთ!

ეხლავე უნდა შევუდგეთ ყრილობის მოწვევის სამზადისს, როგორც ტეხნიკურად, აგრეთვე შინაარსის მხრივ.

ვინ უნდა ითავოს ამ საქმის შესრულება? ამის შესახებ არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს—რა თქმა უნდა ტფილისის ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ.

ეს ერთად ერთი ქართული საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელმაც ჩვენ დაბეჩავებულ სოფლის საჭიროებას თავის დროზე სწორე ალღო აუღო და დაშკოვების ბატონობის შავ-ბნელ დროში გაბედული პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა—მისცა სოფელს პირველი საზოგადოებრივი ადგილობრივი აგრონომი (ქართლისა და კახეთისა). იგია საქართველოში აგრონომიულ დახმარების მოწყობის პიონერი, მანვე უნდა მოუყაროს თავი ამ დარგში ახალ გამრავლებულ მომუშავეთ და ახალ პირობებში, ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით სამოქმედოთ გაამზადოს.

დარწმუნებული ვართ ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ამ, მართალია ძნელ, მაგრამ საპატიო საქმეს არ გაექცევა და გაამართლებს იმ იმედებს, რომელსაც ყველა ჩვენგანი მასზედ ამყარებდა და კვლავაც ამყარებს

აგრონ. გ. რცხილაძე.

## სიმართლე ალბულაღის ამბების შესახებ.

ის, რაც მოხდა ამ დღეებში ალბულაღში—თვალსაჩინო ნაყოფია ჩვენი დაუდევრობისა; ის უყურადღებობა, რომელსაც იჩენდა მთავრობა ალბულაღისადმი მთელი რვა თვის განმავლობაში—პირდაპირ მამაკვდინებელი ცოდვაა ახალგაზდა სახელმწიფოს წინაშე. ალბულაღის ამბები სამაგალითო გაკვეთილია ჩვენი მართებლობისთვის და ამისათვის მსურს ვრცლად შევეხო ამ ამბების განვითარების ისტორიას და მათ წარმომშობ მიზეზებს: იქნებ ვინმემ ყურადღოს ფაქტები და მომავალში მაინც გამოიყენოს იგინი სახელმძღვანელოდ.

ომის გამოცხადებამდე ალბულაღში იდგა მეთოთხმეტე გრენადერთა ქართული პოლკი; ომის გამოცხადების შემდეგ—სანამ ნაციონალური პოლკები შესდგებოდნენ—იქ იდგა 118 სათადარიგო პოლკი. ალბულაღში შემუშავებული იყო მთელი საუკუნის განმავლობაში რუსული პოლკის ტრადიციები, რომლებიც ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვსთ ადგილობრივ მცხოვრებლებს. ეს მცხოვრებლები არიან უმეტეს წილად რუსები და მერე სომხები. ნაწილი რუსებისა არიან რუსეთიდან გადმოსახლებულნი ბოროტმოქმედნი სასჯელის მოსახდელად,—ისე, როგორც აქედგან აგზავნიდნენ ციმბირში; ნაწილი კი მეთოთხმეტე გრენადერთა პოლკში ნამსახურთაგან შესდგება, რომლებსაც არ მოუსურვებიათ სამშობლოში გამგზავრება სამსახურის გათავების შემდეგ და აქვე დასახლებულან. სომხები წარმოადგენენ მეტ-წილად მოვაჭრე ელემენტებს, ალბულაღის მახლობლად არიან სომხის დიდი სოფლები: დაფეთი სამშვილდო; მეორე მხრით არის ოსების ოთხი სოფელი—დუმანისი და სხვა.

1917 წლის გასულს რომ ჯარის ნაციონალიზაციაზე დაიწყეს ლაპარაკი—ადგილობრივ მცხოვრებლებს ელდა ეცათ: რუსული პოლკის ტრადიციებზე აღზრდილნი შეეგუებოდნენ რაღაც ნაციონალურ პოლკებს?! ელდა ეცათ, მაგრამ ფაქტის წინაშე იდგნენ: გადაწყდა ალბულაღში უნდა მდგარიყო მეექვსე ქართული პოლკი, რომელსაც უნდა გადასცემოდა 118 სათადარიგო პოლკის მდიდარი ქონება.

დეკემბრის პირველ რიცხვებში ალბულაღში მოვიდა მეექვსე ქართული პოლკის უფროსის თანაშემწე პოლკოვნიკი კვინიხიძე, რომელსაც ჰქონდა მოწერილობა მეორე ქართული დივიზიის უფროსისგან წამოსულიყო ალბულაღში, მიეღო 118 პოლკის ქონება და შედგომოდა მეექვსე ქართული პოლკის შედგენას. თვით პოლკის უფროსი—პოდპოლკოვნიკი თუშმალოვი არ მობრძანებულა: ალბად ფიქრობდა მზამზარეულ პოლკის ჩაბარებას, დეკემბრის 8 გამოიცა პოლკისადმი ბრძანება № 1 და ამ დღიდან დაიწყო 118 სათადარიგო პოლკის ქონების გადაცემა მეექვსე პოლკისადმი. ყველანი ისე უცქეროდნენ ამ ამბავს, თითქო რუსეთის ქონებას ყაჩაღთა ბრბო იტაცებდა; არავის არ ჰსურდა, ეს ქონება გადასულიყო ქართული პოლკის ხელში და სულით და გულით ხელს უშლიდნენ საქმეს; ამ ქონების გადაცემის დროს ჯვარზე აცვეს ქართველი აფიცრები, მაგრამ ბრძანების წინააღმდეგ ვერავინ წავიდა და ქონება თანდათან გადმოდიოდა ჩვენს ხელში. ბრძანება იყო მეექვსე პოლკი შეევსოთ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებლებისგან და ტფილისის მაზრის იმ ნაწილიდან, რომელსაც წარმოადგენს ალბულაღის რაიონი. ცოტა ოდენი ხალხი შეიკრიბა—ორას კაცამდე; მეტი აღარ ემატებოდა; ადგილობრივ მცხოვრებლებს ძილი დაეკარგათ: ვაი თუ შეივსოს პოლკი და ქართულმა პოლკმა აქ ფეხი მოიკიდოსო.. სომხები დაფაცურდნენ და დაისახეს მიზნად ალბულაღში სომხური პოლკი დაეყენებიათ და ამ მიზნის მისაღწევად არ ზოგავდნენ არავითარ საშუალებას; მათ მიმართეს 118 პოლკის უფროსს—პოლკოვნიკ შუმაკოვს და სთხოვეს ეშუამდგომლა ამის შესახებ; თუ მისი შუამდგომლობა გასჭრიდა—ჰპირდებოდნენ, რომ მთელ მის შტაბს და რუს აფიცრებს დატოვებდნენ სომხური პოლკის სათავეში. რუსები მათ მიემხრნენ და შუმაკოვმაც გამოიდვა თავი: ყოველ დღე გზავნიდა საოლქო შტაბში დეპეშას; მიმართეს ასეთს საშუალებას. სომხური სოფლებიდან მოიყვანეს ხუთასამდე კაცი—ვითომდა მოხალისენი და სთხოვეს ჩაერიცხათ 118 პოლკში; მათ განაცხადეს, რომ სამსახური უნდათ ალბულაღში, რადგან მათ ჰსურთ დაიცვან თავიანთი სოფლები თათართა თავდასხმისგან. შუმაკოვმა დეპეშა აფრინა შტაბში: მოდიან ურიცხვი მოხალისენი და მთხოვენ ჩემ პოლკში ჩარიცხვასო; დასტოვეთ ჩემი შტაბი და მიეცით ამ ხალხს ალბულაღში სამსახურის ნებაო; თანაც ეს ხუთასი კაცი მოათავსა ყაზარმებში და ჩარიცხა სასაზრდოოდ. მდგომარეობა ასეთი შეიქნა: ქართული პოლკი, რომელიც იღებს ქონებას—არ ივსება ხალხით; მეორე მხრით კი სომხები მოდიან და ჰსურთ პოლკის შედგენა; მდგომარეობა თანდათან მწვავდება და უთანხმოების ნიადაგზე ავრცელებენ ათასგვარ პროვოკაციას. შეშინდა ქართული პოლკის დროებითი უფროსი—კვინიხიძე და წავიდა ტფილისს; მასაქეთ მას ალბულაღი აღარ უნახავს; დარჩა მის ადგილზე პოდპოლკოვნიკი გულაბიშვილი; ნამდვილი უფროსი კი ტფილისს არ მოჰშორებია.

ამ დროს ვრცელდება ალბულაღში ხმა რომ აუარებელი ბრბო თათრებისა ემზადება ალბულაღის ასაკლებადო; ჯერ კიდევ ადრე შუმაკოვმა აფრინა ყალბი შინაარსის დეპეშა ტფილისში: არიქა თათრები გვესხმიან თავსო, თავდაცვისათვის მან ექვსასი ვინტოვკა და აუარებელი ტყვია გადასცა ადგილობრივ მცხოვრებლებს და შეადგინა ეგრედ წოდებული „დრუჟინა", რომელსაც ასაზრდოებდა პოლკები; ეს ვინტოვკები დღეს ჩვენი მთავრობის წინააღმდეგაა მიმართული. პროვოკაცია უფრო შორს წავიდა: ჩვენს ჯარის კაცებს ეუბნებოდნენ: გიჟები ხართ რომ აქა სხედხართ—იმ დროს, როდესაც თქვენს ცოლშვილს თათრები ყელებსა სჭრიანო; ეუბნებოდნენ აგრეთვე: თქვენ პოლკს აღგვენენ იმისთვის რომ მერე ჩვენ—თქვენი ძმები რუსები და სომხები ამოგვჟლიტონო.. პროვოკაციამ გასჭრა და ჩვენმა ჯარისკაცებმა იწყეს სახლისკენ ლტოლვა თანდათან.

იანვრის 20-ს დაღუთიდან და სამშვილდოდან ალბულახს მოადგა ათას რიცხოვანი შეიარაღებული ბრბო და გასტეხა პოლკის იარაღის საწყობი, ჩვენმა ყარაულმა წინააღმდეგობა გაუწია: მოკლეს 8 სომეხი და მრავალი დასჭრეს, რომლებიც სოფლებში დახოცილიყვნენ შემდეგ. გაიტაცეს იარაღი იმ დღეებში მთლად და მთელი ტყვია წამალი. ამის შემდეგ გაავრცელეს ხმა ჩვენ ჯარის კაცებში: რადგანაც თქვენ წინააღმდეგობა გაუწიეთ მათო—თქვენ ყველას ამოგხოცავენო, მართლაც ჩვენ ცოტა ხალხი გვყავდა და იმავე დროს ხუთასი სომეხი—შუმაკოვის რაზმი ყაზარმებში იდგა; ჩვენი ჯარის კაცები შეშინდნენ და სახლს მიაშურეს. მას შემდეგ დაემუქრენ პოლკის დროებით უფროს—გულაბიშვილს და დაუპირეს მოკვლა; იგი იძულებული შეიქნა პოლკისთვის თავი დაენებებია და ალბულახს გამოთხოვეოდა; მხოლოდ მაშინ მოვიდა პოლკის უფროსი თუშმალოვი ორი საათით და რომ გაეცნო მდგომარეობას ორი საათის შემდეგვე უკანვე დაბრუნდა, მას აქეთ ალბულაღისკენ პირი არ უქნია; პოლკს თავი დაანება.

ამ ამბების შესახებ მაშინ პრესაშიც იყო ცნობები, სამხედრო მთავრობასაც აუწყეს და ემუდარებოდნენ დაენიშნა გამოძიება და გამოერკვია პროვოკატორების ვინაობა, მაგრამ რვა თვე გავიდა და დღესაც არასფერია, ხულიგანები გათამამდნენ და იანვრიდან დაწყებული დღემდე სისტემატიურად სძარცვავდნენ პოლკის საწყობებს; შუადღისას მოდიოდნენ ურმებით და ეზიდებოდნენ, რის წაღებაც შეიძლებოდა. პასუხის მგებელი არავინ იყო, რადგან არავინ გამოჩნდა პასუხის მომთხოვი!.. ხალხი ხედავდა, რომ მათი ავაზაკობა უყურადღებოდ რჩებოდა, ხალხი ხედავდა, რომ ქართულ პოლკს დასცინოდნენ და მას კი ქომაგი არა ჰყავდა და ეს ხალხი შუადღისას ეზიდებოდა სახალხო სიმდიდრეს სიმღერით, რომელსაც უერთდებოდა ქართული პოლკის აფიცრების ტირილი. მიდიოდა ტფილისში დეპეშა დეპეშაზე, მოხსენება მოხსენებაზე, მაგრამ ტფილისი სდუმდა მუდამ; თუ კი მისი დუმილი დაირღვეოდა—ერთი ისმოდა: ძალა არ არისო; ხალხმა გაიგო, რომ ძალა არ იყო და ავაზაკური ინსტიქტი გაანვითარა!.. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა დღევანდლამდე. მდგომარეობა თანდათან მწვავდებოდა; ხალხი არ დაკმაყოფილდა ქართულ პოლკზე დაცინვით: დაუწყეს დაცინვა იმ მთავრობას, რომელმაც თავის ქონების დაცვა ვერ მოახერხა.

ივლისში ადგილობრივმა სარაიონო კომისარმა ბრძანება გასცა თოფების ჩასაბარებლად; საპასუხოდ შეიარაღებულმა ბრბომ ხალმები მისცხო კომისარიატს, კომისარი დასჭრეს და ტფილისისაკენ გაისტუმრეს. ცოტა ხნით შეჩერდნენ: ვნახოთ რა იქნებაო. ნახეს, არაფერი არ იყო. არავის უგია პასუხი; გამომძიებელიც არ მოსულა,—სიტყვაც არავის დაუძრავს. ამ ამბავს მიექცია მაშინ ყურადღება ამ სტრიქონების დამწერმა და „სახალხო საქმის" საშვალებით საგუბერნიო ადმინისტრაციას აფრთხილებდა; ამბობდა რომ ეს არის დასაწყისი დიდი დრამისა, რომლის ალიკვიდაციოდ დუშეთისებური ექსპედიცია დაგვჭირდება თუ დროზე ყურადღება არ მივაქციეთ-თქო. მაგრამ საგუბერნიო ადმინისტრაციამ ყურადღება არ მიაქცია ჩემს სიტყვებს!.. საჭირო იყო უსათუოდ მეხის გავარდნა, რომ პირჯვარი გადაგვეწერა და ეს მეხიც უკვე გავარდა, უკვე ფაქტის წინაშე ვდგევართ, ასრულდა ჩემი წინასწარმეტყველება და ეხლა მსურს ამ ფაქტების სისწორით აღნუსხვა. მართალია „ქაქუჩელამ" ამ დღეებში წერილები უძღვნა ალბულახის ამბებს, მაგრამ ეტყობა ზოგიერთი ფაქტი სისწორით ვერ გადუციათ და ამისათვის მსურს მკითხველებს ვაცნო შემდეგი.

(შემდეგი იქნება).

გენ. ხრგითელი.

---

გამომცემელი
ხახონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

---

დამზადებულია

# ჩეკები

კოოპერატივებისთვის და ყოველგვარ საყაჭროებისთვის.

სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა № 14.

---

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი იღებ... მყოფთ დილის 12—2 საა... ლანჯ...

---

**ექიმი** ... ლი მედიცინის დოქტორ... ნევის უნივერსიტეტისა და ედინბ... მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. ი... ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ს... რიულ ავადმყოფთ და იძლევა ს... ბით დარიგებას. სიფილისის წამლ... ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს... საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერ... ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ... მოედნის ახლო ტელ. 14—74.

---

**ექიმი** ლ. ა. ხარაძე იღ... ველ დღე შინაგან და... სნეულებიან ავადმყოფთ, საღამ... საათამდე. კვირაობით დილის ... ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ... აუდიტორიის ახლო.

---

**ექიმი** პაველ არდაზიანი დაბრ... იღებს ბავშვთა და შინაგან... მყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—... მელიქოვის ქ. 12, მე-3 უბანი, № 14

---

**ექიმი** ვ. ა. მიქელაძე მიიღებ... გან და ბავშვთა სნეულებიან ... მყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საა... დე, მიხეილის პროსპექტი № 118.

---

**ექიმი** ძმილისა კონსტანტინე არ... ზიანი განაახლა ავადმყოფ... მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის... ჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა.

---

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპე... ლურად მალარიით (ციებ... მისი შედეგებით დასნეულებულთ, სის... ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ... ბით და სხვ. შინაგან სნეულებით ... მყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ... ქტრიზაცია და მასაჟი. მისამართი ... კოვის ქ. № 11.

---

**ექიმი** ი. ლ. ჯაფარიძე. შინაგა... ყურის, ყელის და ცხვირის ... ულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დი... 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვი... № 7 ტელეფონი 17—49.

---

**ექიმი** ი. ი. ზარიშვილი დაბრუნ... განაახლა მიღება ვენერ... საშარდე ორგანოების, სიფილის... ზაპუნება 606—914) და კანის ... მყოფობისა. დილით 9—12 ს. და ... მით 5—8 ს. ქალების მიღება 12 ... კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვ... სახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ...

---

**ექიმი** ნ. ლ. ტურაბაშვილი (მედ... ნის დოქტორი მიუნხენის ... ვერსიტეტისა) დებულობს ავადმყ... ყოველ დღე შუადღის 12—2 ... 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვები... ბებით და საშვილოსნოს სნეულება... კოლოშის ქუჩა № 7. სიმხოვის... ქის გვერდით.

---

**ექიმი** ი. ძ. აბაკელია შინაგანი... მყოფობა. განსაკუთრებ... მყოფობანი გულმკერდისა: ფილ... სასუნთქისა ფილტვების აპკისა, ... და ჯირკვლებისა. ამთვისობა (... და წამლობა ყოველი გვარი ... სისხლნაკლულობისა და მალარიის... მყოფების მიღება ყოველ დღე გარ... რისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. ... დიდის ქ. № 26. ტელ. 5—35.

---

**თვალის სამკურნალო, მუდმივი ... ლით მკიმ დონხონისა**

რომელიც დიდი ხნის განმავლობა... სტენტად იყო ვენასა და პარიზში ... კლინიკებში. თვალით ავადმყოფნ... ბიან დილის 9—1 საათამდე და ს... 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 14 ... ლოს კინო-თეატრის მახლობლად) ... დ. სათამაშო ავადმყოფები სრუ... სიონითაც მიიღებიან.

---

**ექიმ ნავახარდიანის პირველი ... სამკურნალო.**

(დაარსებულია 1880 წელს ... ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ... დღე (გარდა კვირისა) დილი... „606" და „914" 11—12 ...

ბ. ა. ნავახარდიანი—11—12 ... რგიული და ვენერიული (სიფილის...

ე. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებ... საშარდისა.

ბ. შ. ავახართვი: $2^1/_2$—3 ს. ... შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ... ყოფებს $11^1/_2$ ს.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ... ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი—9—11 ... ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—... ნაგანი.

საღამოთი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალურ... მყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლ... უფასოდ, კონსულტაციები და ოპერ... შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედი... დოქტორი ა. ნა... დიანი.